წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის

ოქმი N 14

ქ. წალკა; 20.07.2022 წ.

სხდომას თავმჯდომარეობდა: წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ირაკლი გიგინეიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გოჩა ხაჩატურიან, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რადიკ სარკისიან, სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ანტარამ მელტონიან, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლევონ მარკოსიან, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მელიტონ პაკელიანი, სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ნუგზარ ჩამურლიევი, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარის მოადგილე ჯაბა აბულაძე, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე მალხაზ მგელაძე, ფრაქცია „ერთობა-წალკისთვის" თავმჯდომარე ასლან მგელაძე.

(რეგისტრაციის სია თან ერთვის);

სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე;
სხდომა დასრულდა: 11:20 საათზე;

დღის წესრიგი:

1. დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 დეკემბრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

2. განკარგულების პროექტი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში წალკის მუნიციპალიტეტში დასახლებების მიხედვით მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრული თანხის განაწილების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის #გ-119.119221514 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

3. წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთობა წალკისთვის“ განცხადება შინაური ცხოველების ყოლის წესების დადგენის და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;

სხდომამ განიხილა:

1. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის და ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს დასკვნები დადგენილების პროექტზე „წალკის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 დეკემბრის № 23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ რის შემდეგაც ზვიად გელაძემ და ჯაბა აბულაძემ ბიუროს გააცნეს აღნიშნული კომისიის და ფრაქციის დასკვნები დადგენილების პროექტზე. ბიურომ ღია კენჭისყრით (11 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 დეკემბრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ შეტანილ იქნეს მ/წლის 29 ივლისის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში;

2 სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიების და ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს დასკვნები განკარგულების პროექტზე „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში წალკის მუნიციპალიტეტში დასახლებების მიხედვით მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრული თანხის განაწილების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის #გ-119.119221514 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ რის შემდეგაც ზვიად გელაძემ, ნუგზარ ჩამურლიევმა და ჯაბა აბულაძემ ბიუროს გააცნეს აღნიშნული კომისიის და ფრაქციის დასკვნები განკარგულების პროექტზე. ბიურომ ღია კენჭისყრით (11 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: განკარგულების პროექტი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში წალკის მუნიციპალიტეტში დასახლებების მიხედვით მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრული თანხის განაწილების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის #გ-119.119221514 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ შეტანილ იქნეს მ/წლის 29 ივლისის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში;

3 სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთობა წალკისთვის“ განცხადება შინაური ცხოველების ყოლის წესების დადგენის და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ. რის შემდეგაც ფრაქციის „ერთობა

წალკისთვის“ თავმჯდომარემ ასლან მგელაძემ ბიუროს გააცნო აღნიშნული საკითხი. ბიურომ ღია კენჭისყრით (11 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: განკარგულების პროექტი „შინაური ცხოველების ყოლის წესების დადგენის და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნისა და პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ შეტანილ იქნეს მ/წლის 29 ივლისის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში;

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე *ი.გიგინეიშვილი*